

# ბულინგის პრობლემა სასკოლო გარემოსა და ოჯახში

ფიქრია შაქარიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების  
ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ფიქრია შაქარიშვილი,

ფ.შაქარიშვილი

თარიღი: 17.06.2016

## აბსტრაქტი

ჩემი კვლევის მიზანია, დავადგინო არის თუ არა ბულინგის შემთხვევები თბილისის საჯარო სკოლებში, ასევე არსებობს თუ არა კავშირი ოჯახსა და სასკოლო გარემოში ბულინგს შორის. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის საჯარო სკოლის მე-7-8 კლასის მოსწავლეებმა. კვლევის მეთოდი იყო რაოდენობრივი და მონაცემების შესაგროვებლად გამოვიყენე კითხვარი, რომელიც სამი ბლოკისაგან შედგებოდა. კითხვარი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ბულინგის არსებობა სკოლაში, ოჯახში და ასევე, იკვლევს მოსწავლეების დამოკიდებულებას, შეხედულებას იმასთან დაკავშირებით თუ რა მიაჩნიათ მათ საშინელ, მკაცრ მოპყრობად ბავშვებსა და მოზარდებზე.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ბულინგის შემთხვევები ფიქსირდება თბილისის საჯარო სკოლებში, ასევე გამოვლინდა დადებითი კორელაცია ოჯახსა და სკოლაში ბულინგს შორის. დადგინდა, რომ თუ ბავშვი არის ოჯახში მსხვერპლი, მას დიდი რისკი აქვს სასკოლო გარემოშიც გახდეს მსხვერპლი. ასევე, შედეგებმა აჩვენა სქესთა შორის სხვაობა, აღმოჩნდა რომ ვაჟები მეტად არიან ჩაგრულები, ვიდრე გოგონები. აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა არის ირიბი ბულინგის მსხვერპლი. რაც ეხება მოსწავლეთა შეხედულებას, თუ რას მიიჩნევენ საშინელ, მკაცრ მოპყრობად ბავშვებსა და მოზარდებზე - უმრავლესობას მიაჩნია ფიზიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა და კონტროლის მაღალი დონე-აკონტროლი ყველაფერში. აღნიშნული კვლევა კარგი წინაპირობა იქნება პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად, რათა მოხდეს ბულინგის შემთხვევების დროული დადგენა და აღმოფხვრა.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ბულინგი, სკოლა, ოჯახი.